ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N8

2015 წლის 4 თებერვალი

დ. ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე, 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 23-ე და 25-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N576 დადგენილების, შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N53 დადგენილება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

დანართი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა

N	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა საშტატო ნუსხა	საშტატო რიცხოვნება
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1
3	სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე	1
4	სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1
5	საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1
6	ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	1
7	სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	1
8	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	6

დანართი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა

N	თანამდებობრივი რანგი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა	საშტატო რიცხოვნება
1	წამყვანი საჯარო თანამდებობა	საკრებულოს აპარატის უფროსი	1
2	უფროსი საჯარო თანამდებობა	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1
3	უფროსი საჯარო თანამდებობა	მთავარი სპეციალისტი გამგეობასა და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში	1
4		**სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება**	3
5	უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	1
6	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში	1
7	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში	1
8		**საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება**	4
9	უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	1
10	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი კომპიუტერული უზრუნველყოფის, საკადრო-საორგანიზაციო და ელექტრონული მომსახურების საკითხებში	1
11	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი საკრებულოს ნორმატიული და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების, ვებ გვერდის მომსახურების საკითხებში	1
12	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში	1
13		**საოქმო და სამდივნო მომსახურების განყოფილება**	4
14	უფროსი საჯარო თანამდებობა	განყოფილების უფროსი	1
15	უმცროსი საჯარო თანამდებობა	წამყვანი სპეციალისტი საოქმო და სამდივნო საკითხებში	3